ზურაბ ხონელიძე[1]
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
DOI: https://doi.org/10.52340/sou.2023.19.29

პირველი მსოფლიო ომის შედეგები საქართველოსთვის

აბსტრაქტი. ნაშრომში განხილულია პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება და კავკასიის პატარა ქვეყნის - საქართველოს ბრძოლა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის. ნაშრომში კვლევის შედეგად გამოტანილია დასკვნები: მიუხედავად, იმისა, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს არცერთ დაპირისპირებულ ბლოკს არ აინტერესებდა პატარა ერების ბედი, ამ ერებმა, სწორედ ამ ომის შედეგად შექმნეს, ან აღადგინეს სახელმწიფოებრიობა და გააჩინეს სამომავლო პერსპექტივები მსოფლიო საერთაშორისო სისტემაში დამკვიდრებისათვის. საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა და პირველი დემოკრატიული ტიპის სახელმწიფოს ჩამოყალიბება პირველი მსოფლიო ომის დროს მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა განაპირობა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დამარცხდა 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა ოკუპაციასთან ბრძოლაში, საქართველომ შეზღუდული „სუვერენიტეტით“ რესპუბლიკის სახით არსებობა გააგრძელა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. დღეს არსებული ქართული სახელმწიფო რესპუბლიკური მმართველობით ისტორიულად ეფუძნება საბჭოთა კავშირში შემავალი საქართველოს სსრ-ს, ანუ „მეორე რესპუბლიკის“ ფუნდამენტს, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, ანუ „პირველი რესპუბლიკის“ ბაზისს. მართალია ეს რესპუბლიკები ერთმანეთისაგან თვისობრივად აბსოლუტურად განსხვავებული ქვეყნებია, მაგრამ მათ ერთმანეთის არსებობას საბაზისო საფუძველი ჩაუყარეს. ამის ერთგვარ დასაბუთებას წარმოადგენს 1991

[1] **ზურაბ ხონელიძე,** პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ისტორიის დოქტორი, პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

წლის 9 აპრილს მიღებული საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რომელიც სამართლებრივად, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე ეფუძნება 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის დეკლარაციას.

საკვანძო სიტყვები: პირველი მსოფლიო ომი, საქართველო, საერთაშორისო პოლიტიკა, პატარა ქვეყნები, ომის შედეგები.

Zurab Khonelidze[2]
Sokhumi State University

The Consequences of the First World War for Georgia

Abstract. The paper discusses the international political situation created after the First World War and the struggle of the small Caucasian country - Georgia for state independence. Coming out of the research, the paper draws conclusions: although during the First World War none of the opposing blocs was interested in the fate of small nations, these nations created or restored statehood as a result of this war and created future prospects for establishing themselves in the world international system. The restoration of Georgia's statehood and the establishment of the first democratic type of state were caused by the political processes during the First World War. Although the Democratic Republic of Georgia was defeated on February 25, 1921, in the struggle against the Soviet occupation, Georgia continued to exist as a republic with limited „sovereignty“ within the Soviet Union. Today's Georgian state with republican governance is historically based on the fundament of the Georgian SSR, or „Second Republic“, part of the Soviet Union, which in turn is based on the Democratic Republic of Georgia, or „First Republic“. Although these republics are qualitatively different countries, they laid the foundation for each other's existence. A kind of justification for this is the Declaration of Independence of Georgia adopted on April 9, 1991, which legally, on the basis of the March 31, 1991 referendum, is based on the Declaration of Independence of May 26, 1918.

Keywords*:* First World War, Georgia, international politics, small countries, consequences of the war.

შესავალი. პირველი მსოფლიო ომზე ბევრი რამ დაწერილა, სხვადასხვა ქვეყნებში მას სხვადასხვა კუთხით და სხვადასხვა ინტერესებით იკვლევდნენ. იკვლევდნენ, პოლიტიკური, ეკონომიკური გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური კუთხით. მრავალი ისტორიკოსის, პოლიტოლოგისა

[2] **Zurab Khonelidze**, Doctor of Political Sciences, Doctor of History, Professor, Rector of Sokhumi State University.

და საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევრის მიერ გაკეთებულია დასკვნები პირველი მსოფლიო ომის წანამძღვრების, ომის დროს არსებული გეოპოლიტიკური ვითარების, სხვადასხვა ქვეყნების მიზნებისა და მიღწეული შედეგების შესახებ. სამწუხაროდ, პატარა ქვეყნებისა და ერების მონაწილეობა პირველ მსოფლიო ომში პირდაპირ დაკავშირებული იყო ომის მონაწილე დიდი ქვეყნების ინტერესებთა (Stevenson, 1998) და ზოგჯერ საერთოდ არ პასუხობდა მათ ინტერესებსა და მისწრაფებებს. რადგან XX საუკუნის დასაწყისში ევროპა გახდა მსოფლიო პოლიტიკის ცენტრი, ევროპის ყველა დიდი ქვეყანა პატარა ქვეყნებთან და ერებთან ერთად ჩართული აღმოჩნდა იმ პროცესებში რომელიც ევროპის პოლიტიკის ველზე განვითარდა.

კვლევის ძირითადი ნაწილი. პირველ მსოფლიო ომში ყველა დიდ ქვეყანას საკუთარი ინტერესები და მისწრაფებები გააჩნდა: ახლად გაერთიანებულ და საფრანგეთთან ომში გამარჯვებულ გაძლიერებულ გერმანიას სურდა იმპერიული ამბიციების დაკმაყოფილება - სურდა კოლონიები აფრიკასა და აზიაში, საფრანგეთი ოცნებობდა ელზასის და ლოტარინგიის დაბრუნებაზე, ავსტრია-უნგრეთსა და რუსეთში ცდილობდნენ წინა ომებში დამარცხებით (პრუსიასთან და იაპონიასთან) გამოწვეული პრობლემები მოეგვარებინათ. მათ უმეტესად აინტერესებდათ ბალკანეთის ნახევარკუნძული, რომელიც დასუსტებულ ოსმალეთის იმპერიას ეკუთვნოდა. 1912 წელს ბალკანეთში დაწყებული ეროვნულ-განმანათვისუფლებელი ომის შედეგად, 1913 წელს ოსმალეთი ევროპას ფაქტობრივად ჩამოსცილდა და აქ ჩამოყალიბდა ახალი ბალკანური სახელმწიფოები, რომლებიც თავის მხრივ უკმაყოფილონი იყვნენ და მეზობელი პატარა სახელმწიფოების ხარჯზე სურდათ საკუთარი ტერიტორიების გაფართოება.

ამ ინტერესთა ფონზე შეიქმნა ორი დაპირისპირებული სამხედრო კავშირი, დიდი და პატარა სახელმწიფოები მისწრაფებების მიხედვით გადაჯგუფდნენ და ჩამოყალიბდა სამხედრო ბლოკები, რომელთა ინტერესების სხვაობამ ჯამში მოგვცა მსოფლიო ომი, რომელსაც თავიდან სხვადასხვა სახელით მოიხსენიებდნენ: *„დიდი ომი“, „ყველა ომების დამამთავრებელი ომი“, „იმპერიალისტური ომი“, „ომი ცივილიზაციის დასაცავად“*, ხოლო პირველი მსოფლიო ომი მას მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ, 1939 წელს უწოდეს (Wilde, 2020).

პირველმა მსოფლიო ომმა შეცვალა მსოფლიო პოლიტიკური რუკა და ძალთა თანაფარდობა. პირველ რიგში, მსოფლიო ჰეგემონის როლი დაკარგეს ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და გერმანიამ, დაიშალა ოსმალეთის, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და რუსეთის იმპერიები. ოსმალეთის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენდა ათათურქის თურქეთის რესპუბლიკა, ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დაშლის შედეგად წარმოიშვა ევროპის პატარა სახელმწიფოები და მრავალფეროვანი გახდა ევროპის პოლიტიკური რუკა, რუსეთის იმპერიის დაშლის შედეგად წარმოქმნილი პატარა სახელმწიფოების ბედი კი ტრაგიკული აღმოჩნდა, რადგან საბჭოთა რუსეთმა შეძლო ძალების მოკრება და მეფის რუსეთის იმპერიის დროინდელი ძალაუფლების შენარჩუნება სამხრეთ კავკასიისა და აზიის ქვეყნებში, ბალტიის ქვეყნებმა დროებით 1939 წლამდე შეძლეს დამოუკიდებლობის შენარჩუნება და შემდეგ საბჭოთა რუსეთის პოლიტიკის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ. მეფის რუსეთის მიერ დაპყრობილი ერებიდან პოლონეთმა და ფინეთმა შეძლეს სახელმწიფოებრიობის გადარჩენა.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო არენაზე გამოჩნდნენ ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა რუსეთი (საბჭოთა კავშირი), რომლებმაც შემდეგში მნიშვნელოვნად განსაზღვრეს მსოფლიოს ბედი.

ელოდნენ თუ არა ომის მონაწილე დიდი იმპერიები და პატარა სახელმწიფოები აღნიშნულ შედეგებს?, რა თქმა უნდა არა. რადგან პირველი მსოფლიო ომის პოლიტიკური და სამხედრო ბატალიების უკან იდგა უზარმაზარი ეკონომიკური ინტერესები, რამაც პრაქტიკულად გადაწყვიტა ომის სცენარი და შედეგებიც.

საქმე ისაა, რომ ომის წინ განვლილი ნახევარი საუკუნის განმავლობაში მკვეთრად შეიცვალა მსოფლიოს ეკონომიკური რუკა, რასაც უნდა მოყოლოდა პოლიტიკური რუკის გარდაქმნის მცდელობაც. ასეთი გარდაქმნა კი ნებაყოფლობით არ ხდება ხოლმე. მსოფლიო ჯერ კიდევ „მგლური კანონებით“ ცხოვრობდა და *რადგან არ არსებობდა საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბებული მწყობრი სისტემა,* ტერიტორიების მიტაცება და კოლონიების გადანაწილება ნორმად ითვლებოდა. თავის როლს ასრულებდა იმპერიალიზმი, გამძაფრებული ნაციონალიზმი, მილიტარიზმი და გამალებული შეიარაღება. იქმნებოდა სახელმწიფოთა ახალი კავშირები სხვა კავშირების წინააღმდეგ. ყველაზე მძაფრი იყო დაპირისპირება 1870-1871 წლების ომში პრუსიასთან დამარცხებულ საფრანგეთსა და პრუსიის

მიერ გაერთიანებულ გერმანიას შორის. ბალკანეთში დომინირებისათვის მძაფრი იყო მეტოქეობა რუსეთსა და ავსტრია-უნგრეთს შორის.

საგულისხმოა, რომ 1914 წლის ზაფხულში დიდ ბრიტანეთს, როგორც მსოფლიოში ყველაზე გავლენიან, ძლიერ სახელმწიფოსა და უდიდესი კოლონიური იმპერიის მფლობელს, ჰქონდა საშუალება ეაქტიურა და არ დაეშვა ომი ევროპაში. მაგრამ მისმა მთავრობამ კარგა ხანს ამჯობინა ისეთი „ნეიტრალიტეტის“ დაცვა, რომელიც ომს გარდაუვალს გახდიდა. 4 აგვისტოს კი გერმანიის მიერ ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევის გამო დიდმა ბრიტანეთმა გერმანიას ომი გამოუცხადა. ბრიტანეთთან ერთად ომში ჩაერთვნენ მისი მრავალრიცხოვანი კოლონიები და დომინიონები.

ასევე პროვოკაციული იყო გერმანიის მიერ ომში ოსმალეთის ჩათრევის გეგმა: ევროპაში ორ ფრონტზე მებრძოლი გერმანია დაინტერესებული იყო, რომ რუსეთსაც ჰქონოდა დამატებითი ფრონტი და ყველაფერი გააკეთა რუსეთისა და პროგერმანულად განწყობილი ოსმალეთის ომში ჩართვისთვის. შავ ზღვაში ოსმალეთის ფლოტმა, რომელსაც სარდლობდა გერმანელი ადმირალი *ვილჰელმ სუშონი,* 1914 წლის 29 ოქტომბერს სამხედრო პროვოკაცია მოაწყო და რუსეთის სანაპირო ქალაქები მოულოდნელად დაბომბა, რასაც მოჰყვა რუსეთის მიერ 1914 წლის 2 ნოემბერს ოსმალეთისათვის ომის გამოცხადება. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთისთვის წამგებიანი იყო ორ ფრონტზე ომი, ის ამ პროვოკაციას წამოეგო. რუსეთი სამხრეთიდან ბლოკირებული აღმოჩნდა, რადგან ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები მისთვის ჩაიკეტა, მაშინ როცა მას ძირითადად ამ გზით უნდა მიეღო დახმარება თავისი დასავლეთ ევროპელი მოკავშირეებისაგან.

ომის პირველ წლებში რუსეთმა ყველაზე მეტ სამხედრო წარმატებას ოსმალეთთან ბრძოლაში მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ რუსული კავკასიური არმია მსოფლიო ომის მასშტაბით მცირე იყო (რუსეთის ძირითადი ძალები ევროპის ფრონტებმა შებოჭეს) და მას არ შეეძლო დიდი სტრატეგიული ამოცანების გადაჭრა, *1916 წელს რუსის ჯარის ხელში იყო ერზურუმი, ვანი, ტრაპიზონი მიმდებარე ტერიტორიებითურთ.*

ამავე დროს *რუსეთში ისევ აღორძინდა საუკუნოვანი იმედი, რომ ოსმალეთის დამარცხების შედეგად დაიპყრობდნენ კონსტანტინოპოლს, სრუტეებზე გაბატონდებოდნენ და გავიდოდნენ ხმელთაშუა ზღვაზე!*

საგულისხმოა, რომ პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ დასავლეთელი მოკავშირეები რუსეთს ამ იმედს განუმტკიცებდნენ. 1915 წლის 12 მარტის ნოტით დიდი ბრიტანეთის მთავრობა ოფიციალურად

იღებდა ვალდებულებას ომში გამარჯვების შემდეგ რუსეთისათვის გადაეცა კონსტანტინოპოლი და შავი ზღვის სრუტეები მიმდებარე ტერიტორიითურთ. ცოტა მოგვიანებით ამ პირობას საფრანგეთიც დაეთანხმა.

კონსტანტინოპოლი, ანუ სტამბოლი ომის უძვირფასესი ნადავლი იქნებოდა და მისი გადასვლა ოსმალეთისაგან რუსეთის ხელში მთლიანად შეცვლიდა გეოპოლიტიკურ ვითარებას არა მარტო ევრაზიაში, არამედ მთელ მსოფლიოშიც. მაგრამ რუსეთმა ვერ მიიღო მონაწილეობა ოსმალეთის დანაწევრებაში, რადგან პირველ მსოფლიო ომს ოქტომბრის ე. წ. გადატრიალების შემდეგ (ლენინის ინიციატივით) სეპარატულად გამოეთიშა. ამის შედეგად, გამარჯვებულთა ნაალაფევში ვერსალ-ვაშინგტონის სისტემიდან წილი მას არ ეკუთვნოდა.

1918 წელსვე დაიწყო მსოფლიოს თანამედროვე პოლიტიკური რუკის შექმნა. ევროპაში ხელახლა აღდგნენ შუა საუკუნეებში არსებული პოლონეთი, ავსტრია, უნგრეთი, ლიტვა. აღმოცენდნენ ადრე არარსებული სახელმწიფოები ფინეთი, ლატვია, ესტონეთი, ჩეხოსლოვაკია, თუმცა ცალკე ჩეხეთის სამეფო ადრეც არსებობდა. ისტორიაში პირველად პოლიტიკურ რუკაზე გამოჩნდნენ, თუნდაც მცირე ხნით, ისეთი ერთეულები, როგორიც ახლაც არიან უკრაინა და ბელარუსი. სერბების ჰეგემონიით ერთ სახელმწიფოში - სერბების, ხორვატებისა და სლოვენების სამეფოში (1929 წლიდან მას იუგოსლავია ეწოდა) გაერთიანდა ბალკანეთის ნახევარკუნძულის ყველა სლავი ხალხი, გარდა ბულგარელებისა.

1922 წელს დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის შეერთებული სამეფოს ნაწილში, კუნძულ ირლანდიაზე (ჩრდილოეთით მდებარე პროვინცია ოლსტერის გარეშე) შეიქმნა ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფო - ეირე, ჯერ ბრიტანული დომინიონი, შემდგომში - რესპუბლიკა. უფრო ადრე, 1918 წელს კავკასიაში შეიქმნა სამი რესპუბლიკა - საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი.

ჯერ კიდევ 1914 წელს ოსმალეთის იმპერიას გამოეყო ბრიტანული ოკუპაციის ქვეშ მყოფი ეგვიპტე. ომის დროსვე ფაქტობრივად დამოუკიდებელი გახდა იემენი, როდესაც ის ოსმალეთის სამხედრო ნაწილებმა დატოვეს. 1916 წელს ოსმალეთისაგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა ჰიჯაზმა, სადაც მდებარეობს მუსლიმთა წმინდა ქალაქები მექა და მედინა. ამჟამად ჰიჯაზი აღარ არსებობს: 1925 წელს ის დაიპყრო აბდალაზიზ ასსაუდმა, რომელმაც 1932 წელს საუდის არაბეთის სამეფო შექმნა.

ერთა ლიგის მანდატით 1920-იანი წლების დამდეგს შეიქმნა სირია, ლიბანი, ერაყი, პალესტინა, ტრანსიორდანია, რომელთაც თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში „ანტანტის“ ქვეყნები მართავდნენ.

ჩვენ ზემოთ დავსვით კითხვა, ელოდნენ თუ არა ომის მონაწილე დიდი იმპერიები და პატარა სახელმწიფოები აღნიშნულ შედეგს? რა თქმა უნდა ამ შედეგს არცერთი, ომის წამომწყები სახელმწიფო არ ელოდა. პირველმა მსოფლიო ომმა გონიერ კაცობრიობას უჩვენა, რომ ხშირად მიზანი ვერ იძლევა სასურველ შედეგს, მათ შორის ვერც გამარჯვებულისთვის!!! რადგან სწორედ გამარჯვებულ სახელმწიფოებს მოუტანა ომმა ყველაზე მეტი ადამიანური მსხვერპლი, რომლის აღდგენა და ანაზღაურება შეუძლებელია.

რაც შეეხება საქართველოს - ეს იყო პატარა ქვეყანა, რომელიც პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობდა, როგორც რუსეთის იმპერიის ნაწილი. აქედანაც ბევრი ადამიანი გაიწვიეს, ძირითადად დასავლეთის ფრონტზე, რადგან ოსმალეთთან ფრონტი უფრო გვიან გაიხსნა. ბევრმა ქართველმა გენერალმა, ოფიცერმა და ჯარისკაცმა რუსეთის იმპერიის დროშის ქვეშ გმირულად იბრძოლა.

უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ სწორედ ომის დროს, მაშინდელი ქართული პოლიტიკური ელიტის წინაშე დადგა ახალი გამოწვევა, გაჩნდა პერსპექტივა - რუსეთის იმპერიის ნგრევის შედეგად აღმდგარიყო საქართველოს სახელმწიფოებრიობა.

გერმანიასთან რუსეთის იმპერიის ფაქტობრივი დამარცხების შემდეგ (ბრესტ-ლიტოვსკის დაზავება ამაზე მიუთითებს) შესაძლებელი გახდა საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო გამხდარიყო. მართალია, იმდროინდელ საქართველოში ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური პარტიის - სოციალ-დემოკრატების მემარჯვენე ფრთის, ე. წ. მენშევიკების - ხელმძღვანელობას სოციალისტური გარდაქმნები მთელ რუსეთის იმპერიაში უნდოდა და რუსეთისაგან საქართველოს გამოყოფაზე თავიდან არ ფიქრობდა, მაგრამ *ისტორიულმა რეალობამ აიძულა მენშევიკები დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლები გამხდარიყვნენ.* მსოფლიო ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობდა, როდესაც 1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 28 და 30 მაისს მას მიბაძეს აზერბაიჯანმა და სომხეთმა. აქ ხაზგასასამელია ის ფაქტი, რომ მუსლიმურ აღმოსავლეთში პირველად სწორედ ამ ომის შემდეგ, აზერბაიჯანმა შექმნა მმართველობის რესპუბლიკური - დემოკრატიული სისტემა და ჩამოყალიბდა პირველი რესპუბლიკა მუსლიმურ ქვეყანაში.

1920 წლის 7 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა რუსეთის ბოლშევიკურმა მთავრობამ ცნო. 1921 წლის დამდეგს „ანტანტის“ ქვეყნებმაც გვაღიარეს, მაგრამ ერთა ლიგაში საქართველო არ მიიღეს, რადგან მსოფლიო ომში გამარჯვებულ დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს არ შეეძლოთ მისი დაცვა მოსალოდნელი აგრესორისაგან - საბჭოთა რუსეთისაგან. გარდა ამისა, როგორც დღეს, ევროპისთვის მნიშვნელოვანი რესურსია რუსული გაზი, მაშინაც ევროპის სათბობ-ენერგეტიკულ რესურსს რუსეთის ქვანახშირი წარმოადგენდა. თუ დღეს პირველი, ვინც რუსული გაზის წინაშე პოლიტიკური რევერანსის იძულებით ნაბიჯებს დგამს არის გერმანია და მერკელი, პირველი მსოფლიო ომი დროს ამ თვალსაზრისით პირველი „დანებება“ დიდმა ბრიტანეთმა და მისმა პრემიერ- მინისტრმა დევიდ ლოიდ ჯორჯმა განახორციელა.

სწორედ ამიტომაც დამოუკიდებელი საქართველო, სამხრეთ კავკასიის ორ სხვა რესპუბლიკასთან ერთად, 1920 და 1921 წლებში კომუნისტური (ბოლშევიკური) მთავრობის მქონე რუსეთის მსხვერპლი გახდა.

ანუ, პერსპექტივა, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, საქართველოსთვის გაჩნდა ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. *ეს გამოწვევა იყო ახლად მოდერნიზებული რუსეთის საბჭოთა იმპერია. სამწუხაროდ, ჩვენ ეს გამოწვევა ვერ დავძლიეთ საერთაშორისო ურთიერთობებში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გამო, მაგრამ პერსპექტივა, რომელიც გააჩინა პირველმა მსოფლიო ომმა მთელი მეოცე საუკუნე კვებავდა ქართველი ერის ეროვნულ ცნობიერებას და მენტალობას.*

ამ ომის პერიოდში მოპოვებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ორი-სამი წელი საკმარისი აღმოჩნდა, *რომ სამხრეთ კავკასიაში სახელმწიფოების ფორმირება* დაწყებულიყო. 1920-1921 წლებში სამხრეთ კავკასიაში დაბრუნებული რუსეთი იძულებული გახდა გაეთვალიწინებინა შექმნილი რეალობა და აქ დატოვა რესპუბლიკის სტატუსის მქონე ერები - შექმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები, რომლებიც მართალია, თავიდან ამიერკავკასიის ფედერაციაში შეიყვანა, მაგრამ მოგვიანებით, 1936 წლის კონსტიტუციით ისინი საბჭოთა კავშირის შემადგენელ ნაწილებად იქცნენ, თუნდაც ფიქტიურად გამოცხადებული „სუვერენული სახელმწიფოების“ სტატუსით და კავშირიდან „თავისუფალი გასვლის“ უფლებით. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს, მათ შორის საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას,

ჰქონდა საკუთარი კონსტიტუცია, რომელიც ეფუძნებოდა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციას, მაგრამ იმავე საბჭოთა კონსტიტუციის ერთ-ერთი - 104-ე მუხლის თანახმად, მოკავშირე რესპუბლიკას შეეძლო საბჭოთა კავშირიდან გასვლა. სწორედ, ამ მუხლის გამოყენებით, 1991 წლის ბოლოს, საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, 15 ახალი სახელმწიფო იმავე საზღვრებში, როგორც ეს საბჭოთა კავშირში იყო წარმოდგენილი, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ იქნა აღიარებული.

ჩვენი მიმოხილვის შედეგად შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნები:

1. მიუხედავად, იმისა, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს არცერთ დაპირისპირებულ ბლოკს არ აიტერესებდა პატარა ერების ბედი, ამ ერებმა სწორედ ამ ომის შედეგად შექმნეს, ან აღადგინეს სახელმწიფოებრიობა და გააჩინეს სამომავლო პერსპექტივები მსოფლიო საერთაშორისო სისტემაში დამკვიდრებისათვის.[3]
2. საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა და პირველი დემოკრატიული ტიპის სახელმწიფოს ჩამოყალიბება პირველი მსოფლიო ომის დროს მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა განაპირობა.
3. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დამარცხდა 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა ოკუპაციასთან ბრძოლაში, საქართველომ შეზღუდული „სუვერენიტეტით“ რესპუბლიკის სახით არსებობა გააგრძელა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.
4. დღეს არსებული ქართული სახელმწიფო რესპუბლიკური მმართველობით ისტორიულად ეფუძნება საბჭოთა კავშირში შემავალი საქართველოს სსრ-ს, ანუ „მეორე რესპუბლიკის“ ფუნდამენტს, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, ანუ „პირველი რესპუბლიკის“ ბაზისს. მართალია ეს რესპუბლიკები ერთმანეთისაგან თვისობრივად აბსოლუტურად განსხვავებული ქვეყნებია, მაგრამ მათ ერთმანეთის არსებობას საბა-

[3] საგულისხმოა, რომ პატარა ერების ბედით მსოფლიო თანამეგობრობა სერიოზულ ფიქრს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იწყებს. მართალია, თავიდან ეს პროცესი ამ ქვეყნებით/ერებით მანიპულირების პროცესს უფრო წააგავდა, ვიდრე მათი მომავლის სწორად განსაზღვრისთვის ბრძოლას, მაგრამ დღეს აღნიშნული ვითარება საგრძნობლად შეიცვალა. თუმცა უმეტესწილად პატარა ერების ბედი მაინც დიდი ქვეყნების ინტერესების გათვალისწინებით წყდება.

ზისო საფუძველი ჩაუყარეს. ამის ერთგვარ დასაბუთებას წარმოადგენს 1991 წლის 9 აპრილს მიღებული საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რომელიც სამართლებრივად, 1991 წლის 30 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე ეფუძნება 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის დეკლარაციას.

დასასრულს, კითხვაზე რა პერსპექტივები და გამოწვევები გაჩნდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საქართველოსთვის?

ჩვენ ვპასუხობთ: გაჩნდა სახელმწიფოებრიობის აღდგენის პერსპექტივა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახით, რომელმაც გაუძლო საბჭოთა რეჟიმის გამოწვევებს ოკუპაციისა და უკიდურესად შეზღუდული სუვერენიტეტის სახით და ქართველი ერის უპრეცენდენტო მოთმინების, გამძლეობის, გაღებული მსხვერპლის, ზოგჯერ შეცდომების, მაგრამ თავდადებული ბრძოლის საფუძველზე მივიღეთ თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

Stevenson (1988): David Stevenson, The First World War and International Politics,1988;

Wilde (2020): Robert Wilde, The Countries Involved in World War I, https://www.thoughtco.com/countries-involved-in-world-war-1-1222074

Kochler (2006): The Use of Force in International Relations: Challenges to Collective Security, Edited by Hans Kochler, Vienna, 2006.